



გაერთიანებული ერების ლტოლვილთა
უმალესი კომისარიატი
ჟენევა

ჩანაწერი ლტოლვილის სტატუსის განაცხადებში მტკიცების ტვირთსა და სტანდარტზე

16 დეკემბერი 1998

I. შესავალი

1. ამ ჩანაწერის მიზანია ზოგადი მითითებების შემუშავება ლტოლვილის სტატუსის განაცხადის მიღებისთვის აუცილებელი მტკიცებულების ხარისხის დასადგენად.
2. ლტოლვილის სტატუსის დადგენასთან დაკავშირებული პროცედურები ლტოლვილებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ინსტრუმენტებში ცალკე რეგულირებული არ არის. არ არსებობს რაიმე მოთხოვნა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ასეთი პროცედურები თავისი ბუნებით: ადმინისტრაციული თუ სასამართლო, შეჯიბრებითობის პრინციპზე თუ საგამომძიებლო მიდგომაზე დაფუძნებული. მიუხედავად იმისა ლტოლვილის იდენტიფიცირების რა მექანიზმი დადგინდება, საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც შემფასებელი იღებს, რომელიც განაცხადის შეფასების საფუძველზე ადგენს დადასტურდა თუ არა განმცხადებლის “დევნის საფუძვლიანი შიში”.
3. ლტოლვილის სტატუსის განაცხადების შესწავლისას თავშესაფრის მაძიებელთა განსაკუთრებული მდგომარეობა უნდა იყოს გათვალისწინებული და ყურადღება მიექცეს ფაქტს, რომ ლტოლვილის სტატუსის დადგენის უმთავრესი მიზანი არის ჰუმანიტარული. შესაბამისად, ლტოლვილის სტატუსის დადგენა მიზნად ისახავს არა სტატუსის უტყუარად იდენტიფიცირებას, არამედ ალბათობის დადგენას. მიუხედავად ამისა, ალბათობის ყველა დონე ვერ იქნება საკმარისი ლტოლვილის სტატუსის დადგენისათვის. მთავარი კითხვა არის, შეძლო თუ არა განმცხადებელმა ალბათობის იმ დონის ჩვენება, რომელიც მოახდენს მის ლტოლვილად ცნობას .
4. ცნებები “მტკიცების ტვირთი” და “მტკიცების სტანდარტი” არის სამართლებრივი ტერმინები, რომლებიც მტკიცებულებათა სამართლის კონტექსტში გამოიყენებიან

საერთო სამართლის ქვეყნებში. საერთო სამართლის იმ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის კომპლექსური სისტემები, სამართლებრივი დავა შეიძლება ბრუნავდეს კითხვის გარშემო, დააკმაყოფილა თუ არა განმცხადებელმა ის სავალდებულო “სტანდარტი”, რომელიც ადასტურებს მის ლტოლვილობას. მაშინ როდესაც მტკიცების ტვირთის საკითხი ასევე რელევანტურია რომაული სამართლის სისტემის ქვეყნებისთვის, იქ მტკიცების სტანდარტის საკითხი არ განიხილება და არ წარმოიშვება იმავე ფორმით, როგორც ეს ხდება საერთო სამართლის ქვეყნებში. სამოქალაქო სამართლის სისტემებში ვრცელდება “მტკიცების თავისუფლების” (“liberté de la preuve”) პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად მტკიცებულებათა ამოცანაა განმცხადებლის მიერ მოწოდებული ფაქტების ისე დამტკიცება, რომ მოსამართლეს ჩამოუყალიბდეს ღრმა რწმენა (“intime conviction”) ამ განაცხადების ჭეშმარიტებაში ამასთან, როდესაც საერთო სამართლის ცნებები ტექნიკური ხასიათის არიან და განსაკუთრებით რელევანტურები კონკრეტული ქვეყნებისთვის, ეს მტკიცებულებითი სტანდარტები უფრო ფართოდ გამოიყენება ლტოლვილის განაცხადის გასამყარებლად ნებისმიერ ადგილას, მათ შორის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ. შესაბამისად, აქ მოცემული სახელმძღვანელო პრინციპები უნდა გავრცელდეს ზოგადად, ლტოლვილის სტატუსის ყველა განაცხადზე.

5. ეს ჩანაწერი იკვლევს მტკიცების ტვირთთან და სტანდარტთან დაკავშირებულ საკითხებს ლტოლვილის სტატუსის დადგენის ჩვეულებრივ პროცედურებში, როდესაც ხდება განაცხადის შინაარსის შესწავლა. მტკიცების ტვირთსა და სტანდარტთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ვრცელდება დაჩქარებულ პროცედურებზე განხილულია სხვაგან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისთაშორის მემორანდუმსა და სავლე ოფისის მემორანდუმში (IOM-FOM).

II. მტკიცების ტვირთი

6. ლტოლვილის განაცხადის გამამყარებელი ფაქტები დგინდება მათ შესახებ წარმოდგენილი მტკიცებულებით. მტკიცებულება შეიძლება იყოს ზეპირი ან დოკუმენტური. მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულება, გაცხადებული ფაქტის დადებითად დასადასტურებლად აღინიშნება ცნებით “მტკიცების ტვირთი”.

7. მტკიცებულებათა სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება პირს, რომელიც ამტკიცებს რამეს. ამგვარად, ლტოლვილის განაცხადში, სწორედ განმცხადებელს აქვს საკუთარი განაცხადის სიმართლისა და იმ ფაქტების სიზუსტის დამტკიცების ტვირთი, რომლებსაც ეფუძნება განაცხადი. განმცხადებლის მიერ მტკიცების ტვირთის შესრულება ხდება განაცხადისთვის რელევანტურ ფაქტებზე სიმართლესთან შესაბამისი ანგარიშის გადმოცემით ისე, რომ ამ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლებოდეს სწორი გადაწყვეტილების მიღწევა. ლტოლვილის განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შემფასებელი ინაწილებს ვალდებულებას, დარწმუნდეს და შეაფასოს ყველა რელევანტური ფაქტი. ამის მიღწევა დიდწილად ხდება შემფასებლის მიერ წარმოშობის ქვეყანაში

ობიექტური სიტუაციის და ზოგადი საკითხების ცოდნით, განმცხადებლისთვის მიმართულების მიცემით, რათა ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია და ადეკვატურად დაადასტუროს ის ფაქტები, რომლებიც შეიძლება იყოს არსებითი.

III. მტკიცების სტანდარტი - ზოგადი ჩარჩო და განმსაზღვრელი საკითხები

8. განმცხადებლის პასუხისმგებლობის კონტექსტში, რათა დაამტკიცოს მისი განაცხადის გამამყარებელი ფაქტები, ცნება “მტკიცების სტანდარტი” ნიშნავს განმცხადებლის მიერ ფაქტობრივი მტკიცებულებების სიმართლეში შემფასებელის დასარწმუნებლად გარკვეული ზღვარის მიღწევას. “დამტკიცების” საჭიროება აქვთ იმ ფაქტებს, რომლებიც ეხებიან განმცხადებლის წარსულსა და პირად გამოცდილებას, რომლებმაც სავარაუდოდ წარმოშვეს დევნის შიში და პირის მიერ წარმოშობის ქვეყნის დაცვით სარგებლობაზე უარის თქმა.

9. საერთო სამართლის ქვეყნებში, სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული მტკიცებულებათა სამართალი მოითხოვს, რომ საქმე იყოს დამტკიცებული “საფუძვლიან ეჭვს მიღმა.” სამოქალაქო მოთხოვნებში, კანონი არ მოითხოვს მაღალ სტანდარტს; შემფასებელმა უნდა გადაწყვიტოს საქმე “ალბათობის ბალანსის” (balance of probabilities) საფუძველზე. ანალოგიურად, ლტოლვილის სტატუსის განაცხადებში, არ არის იმის აუცილებლობა, რომ შემფასებელი სრულად იყოს დარწმუნებული განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ თითოეულ ფაქტობრივ მტკიცებულებაში. შემფასებელმა წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და განმცხადებლის განაცხადების სიზუსტეზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს, რამდენად შესაძლებელია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა იყოს სანდო.

10. ცხადია, განმცხადებელს აქვს სიმართლის თქმის ვალდებულება. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის ტრავმული გამოცდილების გამო ის შესაძლოა ვერ საუბრობდეს თავისუფლად; ან დროის შუალედის ან მძიმე ხასიათის წარსული ფაქტების გამო განმცხადებელს შესაძლოა, არ ახსოვდეს ყველა ფაქტობრივი დეტალი, ვერ გაიხსენოს ზუსტად ან შეიძლება ისინი აურიოს; შესაბამისად, განმცხადებელი შეიძლება იყოს ბუნდოვანი ან არაზუსტი დეტალური ფაქტების წარმოდგენისას. ყველა თარიღის ან მცირე დეტალების გახსენების შეუძლებლობა, ისევე როგორც მცირე უზუსტობები, არაარსებითი ბუნდოვანება ან არაარსებით საკითხებზე არასწორი განცხადებები შეიძლება, გათვალისწინებული იყოს საბოლოოდ სანდოობის შეფასებისას, თუმცა არ უნდა იყოს გამოყენებული გადამწყვეტ ფაქტორებად.

11. დამხმარე მტკიცებულებებთან დაკავშირებით, თუ არსებობს განმცხადებლის მიერ გაკეთებული განაცხადების დამადასტურებელი მტკიცებულება, მან უნდა გაამყაროს განაცხადის დამაჯერებლობა. მეორე მხრივ, თავშესაფრის მაძიებელთა განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე მათ არ უნდა მოეთხოვოთ ყველა აუცილებელი მტკიცებულების წარმოდგენა. გასათვალისწინებელია, რომ ხშირად თავშესაფრის მაძიებლებს ქვეყნის დატოვება უწევთ პირადი დოკუმენტების გარეშე.

შესაბამისად, ზეპირი განაცხადის გასამყარებლად დოკუმენტური მტკიცებულების წარმოდგენლობა არ უნდა აფერხებდეს განაცხადის მიღებას, თუ ასეთი განაცხადი შესაბამისობაშია ცნობილ ფაქტებთან და განაცხადი ზოგადად სანდოა.

12. განმცხადებლის მოთხოვნის ზოგადი სანდოობის შეფასებისას, შემფასებელმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორცაა წარმოდგენილი ფაქტების გონივრულობა, განმცხადებლის ისტორიის ზოგადი შესაბამისობა და თანმიმდევრულობა, განმცხადებლის მიერ საკუთარი განაცხადის დამადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულება, ზოგად ცოდნასთან ან ზოგადად ცნობილ ფაქტებთან შესაბამისობა და წარმოშობის ქვეყანაში ცნობილი არსებული სიტუაცია. სანდოობა დგინდება მაშინ, როდესაც განმცხადებელმა წარმოადგინა თანმიმდევრული და დამაჯერებელი განაცხადი, რომელიც არ ეწინააღმდეგება ზოგადად ცნობილ ფაქტებს, და შესაბამისად, შესაძლოა, იყოს სარწმუნო.

13. პრინციპი “ექვის [პირის/განმცხადებლის] სასარგებლოდ გადაწყვეტა” გამოიყენება მტკიცებულების სტანდარტის კონტექსტში განმცხადებლის მიერ გაკეთებულ ფაქტობრივ განაცხადთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ლტოლვილის სტატუსის განაცხადში განმცხადებელს არ აქვს ყველა ფაქტის ისეთი სტანდარტით დადასტურების ვალდებულება, რომელიც სრულად დაარწმუნებს შემფასებელს ყველა ფაქტობრივი მტკიცებულების ნამდვილობაში, შემფასებლის გონებაში ჩვეულებრივ იარსებებს ეჭვი განმცხადებლის მიერ მოყვანილ ფაქტებზე. თუ შემფასებელი ჩათვლის, რომ განმცხადებლის ისტორია საერთო ჯამში დამაჯერებელი და სარწმუნოა, ეჭვიარ უნდა ქმნიდეს წინასწარ უარყოფით წარმოდგენას განმცხადებლის განაცხადთან დაკავშირებით; შესაბამისად, ასეთი ეჭვი განმცხადებლის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

IV. მტკიცების სტანდარტი, რომელიც საჭიროა დევნის საფუძვლიანი შიშის დასადგენად

14. ფრაზა “დევნის საფუძვლიანი შიში” ლტოლვილის განმარტების ძირეული ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ “დევნის საფუძვლიანი შიში” შეიცავს ორ ელემენტს, ერთს სუბიექტურს (შიში) და ერთს ობიექტურს (საფუძვლიანი), ორივე ელემენტი უნდა შეფასდეს ერთად.

15. ამ კონტექსტში ცნება “შიში” ნიშნავს, რომ პირს სჯერა ან მოლოდინი აქვს, რომ ის დაექვემდებარება დევნას. ეს დიდწილად დგინდება იმით, თუ როგორ აღწერს განმცხადებელი გამომგზავრებამდე საკუთარ ფსიქიკურ მდგომარეობას. ჩვეულებრივ, განმცხადებლის განაცხადი ჩაითვლება შიშის არსებობის მნიშვნელოვან დემონსტრირებად იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ფაქტები, რომლებიც იმ მომენტში წარმოქმნის დამაჯერებლობასთან დაკავშირებულ სერიოზულ ეჭვს. განმცხადებელმა დამატებით უნდა აჩვენოს, რომ მისი სავარაუდო შიში საფუძვლიანია.

16. კონვენციის შექმნის ისტორია ამ საკითხთან დაკავშირებით ინსტრუქციულია. ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IRO) კონსტიტუციის პირველ დანართში მოცემული “ლტოლვილების” ერთ-ერთი კატეგორია, არიან ის პირები, რომლებმაც “გამოხატეს საფუძვლიანი წინააღმდეგობა [საკუთარ ქვეყანაში] დაბრუნებასთან დაკავშირებით”, “საფუძვლიანი წინააღმდეგობა” (valid objection) განიმარტა როგორც “დევნა, ან შიში, რომელიც ეფუძნება დევნის გონივრულ საფუძველს”. ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, “გონივრული საფუძველები” უნდა იქნას გაგებული როგორც აღმნიშვნელი იმისა, რომ განმცხადებელმა წარმოადგინა “დამაჯერებელი და სარწმუნო ანგარიში, თუ რატომ ეშინია დევნის”. მოქალაქეობის არქონისა და დაკავშირებული საკითხების სპეციალურმა კომიტეტმა მიიღო გამოთქმა “დევნის საფუძვლიანი შიში” და არა ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციის მიერ შემოთავაზებული სიტყვათა წყობა. ამ ფრაზის კომენტარებისას, საკუთარ საბოლოო ანგარიშში დროებითმა კომიტეტმა დაადგინა, რომ “საფუძვლიანი შიში” ნიშნავს პირის შესაძლებლობას წარმოადგინოს “კარგი მიზეზი”, თუ რატომ ეშინია დევნის.

ზღვარი

17. სახელმძღვანელო ადგენს, რომ განმცხადებლის დევნის შიში უნდა იყოს მიჩნეული საფუძვლიანად, თუ მას “გონივრულ დონეზე შეუძლია იმის დადგენა, რომ მისი განგრძობითი ყოფნა წარმოშობის ქვეყანაში გახდა გაუსაძლისი...”

18. იურისპრუდენციის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიქმნა საერთო სამართლის ქვეყნებში იმის შესახებ, თუ მტკიცების რა სტანდარტი უნდა გავრცელდეს თავშესაფრის განაცხადებზე საფუძვლიანობის დასადგენად. ეს იურისპრუდენცია დიდწილად ემხრობა ხედვას, რომ საფუძვლიანობის ეჭვს მიღმა დასაბუთების მოთხოვნა არ არსებობს; არც ის მოითხოვება, რომ დადასტურდეს დევნის მეტი ალბათობა, ვიდრე ასეთი ფაქტის არ მოხდენის. “საფუძვლიანობის” დასადგენად უნდა დადასტურდეს დევნის შესაძლებლობის გონივრულობა. დანართად მოცემულია ქვეყნების მიხედვით უახლესი იურისპრუდენციის მიმოხილვა.

შიშის საფუძვლიანობის შეფასების ინდიკატორები

19. მაშინ, როდესაც თავისი ბუნებით, დევნის რისკის შეფასება გულისხმობს მომავლის განჭვრეტას და შესაბამისად, ნაწილობრივ სპეკულაციურია, დევნის რისკის შეფასება უნდა იყოს გაკეთებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ განმცხადებლის პირად გარემოებებს, ისევე როგორც ელემენტებს, რომლებიც წარმოშობის ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული.

20. განმცხადებლის პირადი გარემოებები, ჩვეულებრივ, მოიცავს მის წარსულს, გამოცდილებას, პიროვნულ თვისებებსა და სხვა პირად ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ მისი დევნის სუბიექტად ქცევა. კერძოდ, თუ განმცხადებელს, მის

ნათესავეებსა და მეგობრებს ან მსგავს სიტუაციაში მყოფ სხვა პირებს ადრე განუცდიათ დევნა ან სხვა ფორმის არასათანადო მოპყრობა, ეს არის გასათვალისწინებელი ფაქტორი. რელევანტური ელემენტები, რომლებიც ეხებათ წარმოშობის ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას შეიძლება, მოიცავდეს ზოგად სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობას და ისტორიას; ქვეყნის კანონმდებლობას; დევნის აგენტის პოლიტიკას ან პრაქტიკას, განსაკუთრებით განმცხადებლის მსგავს სიტუაციაში მყოფ პირთა მიმართ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ წინა დევნას ან არასათანადო მოპყრობას დიდი წონა ექნებოდა სამომავლო დევნის რისკის პოზიტიური შეფასების სასარგებლოდ, მისი არარსებობა არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. იმავე პრინციპით, წინა დევნის ფაქტი აუცილებლად არ ადასტურებს განახლებული დევნის შესაძლებლობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც წარმოშობის ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა მდგომარეობა.

V. დასკვნა

21. მტკიცებულებებთან მიმართებით, ლტოლვილის სტატუსზე განაცხადი განსხვავდება სისხლის სამართლის საქმეებისგან ან სამოქალაქო მოთხოვნებისგან. წარმოდგენილი სუბიექტური ელემენტების დამტკიცება განსაკუთრებით რთულია და დამაჯერებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ჩვეულებრივ, არ ეფუძნება ‘მყარ’ ფაქტებს. შემფასებელს ხშირად სჭირდება, მთლიანად დაეყრდნოს განმცხადებლის ზეპირ განცხადებებს და შეფასება მოახდინოს წარმოშობის ქვეყანაში არსებული ობიექტური მდგომარეობის გათვალისწინებით.

22. რაც შეეხება დევნის “საფუძვლიან” შიშს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ელემენტის შეფასება თავისი ბუნებით არის სპეკულაციური, ის არ არის არც წმინდა ვარაუდი, თუმცა არც მკაცრი სამართლებრივი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ცდომილების “შესაძლებლობის” ან “აღბათობის” შესახებ გადაწყვეტილების მიღება არის სადღაც შუაში და უნდა იყოს გამართლებული დასაშვებად ცნობილ საფუძვლებზე დაყრდნობით.

23. მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელოს მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელო პრინციპის აღნიშვნა: “ვინაიდან შემფასებლის მიერ საქმის ფაქტებზე გაკეთებული დასკვნა და განმცხადებელზე მისი პირადი წარმოდგენა მიიყვანს მას გადაწყვეტილებამდე, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანთა სიცოცხლეზე, შემფასებელმა კრიტერიუმები უნდა გამოიყენოს სამართლიანობისა და გონიერების სულისკვეთებით”.

დანართი: სასამართლო პრაქტიკა

ამერიკის შეერთებული შტატები:

საქმეში იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური - სტევიჩის წინააღმდეგ, (*INS v. Stevic*) უზენაესმა სასამართლომ ნათლად განასხვავა ის სტანდარტები რომლებიც ვრცელდება დეპორტაციის პროცედურების შეჩერებასა და თავშესაფრის პროცედურებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ დეპორტაციის შეჩერების კვალიფიცირებისთვის უცხოელმა უნდა წარმოაჩინოს, რომ “უფრო სავარაუდოა, ვიდრე არასავარაუდო, რომ უცხოელი დაექვემდებარება დევნას” დასაბრუნებელ ქვეყანაში; ეს ნიშნავს, რომ განმცხადებელმა უნდა აჩვენოს “დევნის ცხადი ალბათობა”. ამისგან განსხვავებით, თავშესაფრის პროცედურებში გავრცელებულ სტანდარტთა დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ “საფუძვლიანი შიშის” სტანდარტის ზომიერი ინტერპრეტაციის შესაბამისად, “მას შემდეგ რაც ობიექტური მდგომარეობის მტკიცებულებით დადგინდება, აღარ არის საჭირო იმის ჩვენება, რომ დევნა სავარაუდოდ განხორციელდება, უბრალოდ საკმარისია, რომ დევნა გონივრულ დონეზე შესაძლებლად ჩაითვალოს”.

ამ განსხვავებას უზენაესმა სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქმეში იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური - კარდოზა-ფონსეკას წინააღმდეგ. (*INS v. Cardoza-Fonseca*). ამ საქმეში, უზენაესმა სასამართლომ 1980 წლის ლტოლვილთა აქტის სამართლებრივ ისტორიაზე მითითებით, ისევე როგორც აქტის მარტივი ენით, ყურადღება გაამახვილა რომ ცნებები “ლტოლვილი” და “საფუძვლიანი შიში” გახდა თავშესაფრის პროცედურის “განუყოფელი ნაწილი” და იმისთვის, რომ უცხოელმა აჩვენოს “დევნის საფუძვლიანი შიში” მას “არ სჭირდება დაამტკიცოს, რომ უფრო სავარაუდოა მისი დევნა წარმოშობის ქვეყანაში, ვიდრე არა”. მოსამართლე სტივენსმა აღნიშნა, რომ “პირს ნამდვილად შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული ქმედების მოხდენის საფუძვლიანი შიში, მაშინაც კი თუ ალბათობა 50%-ზე ნაკლებია”. ვინაიდან 1980 წლის ლტოლვილთა აქტით კონგრესის მიზანი იყო “ლტოლვილის” 1967 წლის დამატებითიოქმის შესაბამისად განმარტება, სასამართლომ გამოიკვლია 1951 წლის კონვენციის შექმნის ისტორია და დაასკვნა, რომ “სტანდარტი, რომელიც ერთგვაროვნად იყო გაგებული მის შემქმნელთა და მიმღებთა მიერ, ‘ლტოლვილად’ პირის კლასიფიცირებისთვის ნამდვილად არ მოითხოვს უცხოელისგან იმის ჩვენებას, რომ მისი დევნა უფრო სავარაუდოა ვიდრე არა.” სასამართომ შემდეგ ხელახლა განამტკიცა ზემოაღნიშნული სტანდარტი სტოვიჩის საქმეში, როგორც “გონივრული შესაძლებლობა”.

გაერთიანებული სამეფო:

სახელმძღვანელო პრინციპების მომზადებისას, მტკიცების სტანდარტი, რომელიც გამოიყენება მომავალში რაიმე მოვლენის ალბათობის ანალიზისთვის, ლორდთა პალატამ უარყო “ალბათობის ბალანსის” ტესტი (“უფრო სავარაუდო ვიდრე არა”), რომელიც ვრცელდება სამოქალაქო საქმეებზე. საქმეში ფერნანდესი - სინგაპურის მთავრობის წინააღმდეგ, (*Fernandez v. Government of Singapore*) რომელიც ეხება 1967 წლის გაერთიანებული სამეფოს ძებნილ დამნაშავეთა აქტს, ლორდმა დიპლოქმა განმარტა, რომ

“ინგლისურ სამართალში არ არსებობს ზოგადი წესი, რომელიც სასამართლოს დებულებით ან საერთო სამართლით ავალდებულებს, გაითვალისწინოს შესაძლო მოვლენა და სამართლებრივი შედეგები დააფუძნოს მისი მოხდენის ალბათობაზე; მან იგნორირება უნდა გაუკეთოს იმ შესაძლო მოვლენის ალბათობას, რომლის რეალიზაციის შანსები უმნიშვნელოდ ნაკლებია მის არმოხდენასთან შედარებით.” სასამართლომ გაითვალისწინა იმ შედეგების სიმძიმე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მოლოდინის გაუმართლებლობას რომელიმე მიმართულებით და დაასკვნა, რომ არ არის იმის ჩვენება აუცილებელი, რომ პირის დაკავება ან შეზღუდვა დაბრუნებისას უფრო სავარაუდოა ვიდრე არ-დაკავება ან არ შეზღუდვა. საკმარისია შედარებით ნაკლები ალბათობა, როგორცაა “გონივრული შესაძლებლობა”, “ასე ფიქრის მნიშვნელოვანი საფუძვლები” ან “სერიოზული შესაძლებლობა”.

საქმეში რ. - საშინაო საქმეების დეპარტამენტის სახელმწიფო მდივნის, ექს პარტე (*ex parte*) მხარეების შივაკუმარანის და ა.შ. წინააღმდეგ, (*R. v Secretary of State for the Home Department ex parte Sivakumaran*) ლორდთა პალატამ გაითვალისწინა მცდარი მსჯელობის შედეგების სიმძიმე და მოუწოდა, ნაკლებად მკაცრად გამოეყენებინა “უფრო სავარაუდო, ვიდრე - არა” სტანდარტი. მან დაადგინა, რომ შიში საფუძვლიანია, თუ არსებობს გონივრული ალბათობა, რომ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში პირი იქნება დევნილი კონვენციაში ნახსენები ერთ-ერთი საფუძვლით.

ავსტრალია:

საქმეში ჩან იე კინ - იმიგრაციისა და ეთნიკურ საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, (*Chan Yee Kin v. The Minister for Immigration and Ethnic Affairs*) ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ განამტკიცა სტანდარტი, რომელიც მოცემულია საქმეებში ექს პარტე შივაკუმარანი და იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური - კარდოზა-ფონსეკას წინააღმდეგ, მაგრამ ამჯობინა, ის გაეთანაბრებინა ცნებასთან “რეალური შესაძლებლობა”. მთავარმა მოსამართლემ მეთონმა (Mason C.J.) აღნიშნა, “როდესაც კონვენციაში მოცემულია დებულება იმ პირის ლტოლვილის სტატუსის აღიარებაზე, რომელსაც კონვენციის საფუძვლით აქვს დევნის საფუძვლიანი შიში და ამის გამო არ სურს მოქალაქეობის ქვეყანაში დაბრუნება, კონვენცია აუცილებლად ჰკრეტს, რომ დაბრუნების შემთხვევაში რეალურია შესაძლებლობა, რომ განმცხადებელი დაექვემდებარება მნიშვნელოვან დასჯას, ჯარიმას ან სხვა მნიშვნელოვან ზიანს.” მთავარმა მოსამართლემ დოუსონმა (Dawson C.J.) განაცხადა, რომ “ერთგვაროვნებისთვის” ის უპირატესობას ანიჭებს ტესტს, რომელიც “მოითხოვს, რომ არსებობდეს დევნის რეალური შანსი, ვიდრე დევნის შიში იქნება დასაბუთებული.” მან აღნიშნა, რომ ეს ნიშნავს “მეტს ვიდრე დამაჯერებელს”, ვინაიდან “განმცხადებელს შეიძლება ჰქონდეს გულწრფელი რწმენა, რომელიც განმცხადებლისთვის უცნობი ფაქტების გამო შეიძლება იყოს უსაფუძვლო”; იმავედროულად, “სარწმუნოება” ან “თუნდაც ალბათობა, რომ (შიში) იქნება რეალიზებული” არ არის სავალდებულო”. ანალოგიურად, მოსამართლემ მაჰკიუ (McHugh J.) განაცხადა, “ცხადია, დევნის არარეალური შესაძლებლობა უნდა იყოს გამორიცხული. მაგრამ, თუ არსებობს განმცხადებლის სამომავლო დევნის რეალური შანსი, მისი შიში კონვენციისა და ოქმის მიზნებისთვის უნდა იყოს განსაზღვრული, როგორც ‘საფუძვლიანი’.”

კანადა:

კანადაში, საქმეში ჯოსეფ ადჯეი (Joseph Adjei) დასაქმებისა და იმიგრაციის მინისტრის წინააღმდეგ, (*Joseph Adjei v. Minister of Employment and Immigration*) სააპელაციო სასამართლომ უარყო “უფრო სავარაუდო, ვიდრე - არა” ტესტი განცხადებით: “საერთოდ მიღებული იყო, რომ ობიექტური ტესტი არ ყოფილიყო ისეთი მკაცრი, რომ მოეთხოვა დევნის ალბათობა...”. მოსამართლემ მაქგუიგან (MacGuigan J.) შემოიღო “გონივრული შანსი”-ს სტანდარტი, რომელიც გაუთანაბრდა “დევნის შიშის კარგ საფუძველს” და დევნის “გონივრულ შესაძლებლობას”. ამავე მსჯელობას მიჰყვნენ შემდეგ საქმეში სალიბიან - კანადის წინააღმდეგ, (*Salibian v. Canada*) რომელშიც ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ “განცდილი შიში ეხება გონივრულ შესაძლებლობას, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში მოხდება მისი დევნა”.